საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

თალაკვაძე ლეონიდე ბესარიონის ძე

თალაკვაძე ლეონიდე ბესარიონის ძე (21. I. 1916, თბილისი, –14. XII. 1999, იქვე), სამხედრო ინჟინერი. ტრანსპორტის დამსახურებული მუშაკი. დაამთავრა მოსკ. სამხ.-საავიაციო უმაღლესი სკოლა (1940), ლენინგრადის საავიაციო აკადემიასთან არსებული კურსები (1964). 1940-იდან მუშაობდა მოსკსამხ.-საავიაციო სკოლაში პედაგოგად, ამავე დროს ასრულებდა საბრძოლო გაფრენებს. 1946-იდან მოღვაწეობდა სამოქალაქო ავიაციაში. 1970-იდან იყო მფრინავი-ინსტრუქტორი. ავიაციაში ხანგრძლივი უავარიო - საფრენოსნო მუშაობისა და საფრენოსნო კადრების მომზადებისათვის მიენიჭა სსრკ დამსახურებული მფრინავის წოდება (1975). მიღებული აქვს სახელმწ. ჯილდოები, მ. შ. სამხ. ორდენები და მედლები.